

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2017 და 2016
წლების 31 დეკემბრით დასრულებული
წლებისათვის

შპს ჯი-თი გრუპ

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	5
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	8
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს ჯი-თი გრუპ და მისი საქმიანობა	9
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	20
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	21
5. ძირითადი საშუალებები	27
6. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში	29
7. მარაგები.....	30
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	31
9. გადახდილი ავანსები	32
10. ფული და ფულის ექვივალენტები.....	32
11. საწესდებო კაპიტალი	32
12. სესხები.....	33
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
14. შემოსავალი.....	34
15. რეალიზაციის თვითღირებულება	35
16. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	35
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	36
18. წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე.....	36
19. სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	36
20. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	37
21. ფინანსური რისკების მართვა	37
22. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	42
23. შემდგომი მოვლენები.....	43

შპს ჯი-თი გრუპ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი-თი გრუპ“-ის („შემდგომში - ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ჯი-თი გრუპ-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯი-თი გრუპ-ის (ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წლის 1 თებერვალს და ამდენად, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ

- გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ხელისმომწერი

2018 წლის 27 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	32,727,505	19,820,547	17,773,128
არამატერიალური აქტივები		29,009	23,811	33,979
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში	6	6,076,153	5,323,085	4,226,178
სხვა გრძელვადიანი აქტივები		14,373	13,774	2,216
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,847,040	25,181,217	22,035,501
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	23,952,910	19,990,284	18,878,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,362,368	3,632,839	2,267,523
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,608,837	1,592,829	2,152,599
გადახდილი ავანსები	9	3,171,080	2,257,913	2,955,108
მისაღები დივიდენდები		182,526	158,240	186,013
სხვა აქტივები		209,033	92,619	16,169
ფული და ფულის ექვივალენტები	10	6,166,003	1,428,977	4,292,785
სულ მიმდინარე აქტივები		38,652,757	29,153,701	30,748,410
სულ აქტივები		77,499,797	54,334,918	52,783,911
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	400,000	400,000	400,000
გაუნაწილებელი მოგება		35,486,812	33,421,388	27,995,221
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი		7,534,237	-	-
არამაკონტროლებელი წილის მოგება		292,745	130,334	22,309
სულ კაპიტალი		43,713,794	33,951,722	28,417,530
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	5,453,048	4,652,292	5,406,935
გადავადებული მოგების გადასახადი		-	-	1,941,589
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,453,048	4,652,292	7,348,524
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	11,435,677	7,782,952	5,306,627
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	11,575,958	3,092,879	3,345,979
მიღებული ავანსები		5,290,763	4,738,497	8,365,251
საგადასახადო ვალდებულებები		30,557	116,576	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		28,332,955	15,730,904	17,017,857
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		77,499,797	54,334,918	52,783,911

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	14	92,226,716	90,694,040
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(72,843,038)	(73,556,374)
მთლიანი მოგება		19,383,678	17,137,666
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	16	(5,481,353)	(5,441,438)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(7,549,737)	(4,405,668)
საპროცენტო შემოსავლები		25,395	17,365
საპროცენტო ხარჯი		(1,573,130)	(1,717,546)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	18	(2,490,847)	(1,457,979)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	19	272,517	(92,063)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი	6	903,068	1,246,907
მოგება მოგების გადასახადამდე		3,489,591	5,287,244
მოგების გადასახადის ხარჯი		(53,354)	1,503,755
წლიური მოგება		3,436,237	6,790,999
წლიური სხვა სრული შემოსავალი		7,534,237	-
სულ წლის სრული შემოსავალი		10,970,474	6,790,999
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		10,808,063	6,808,117
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		162,411	(17,118)
სულ წლის სრული შემოსავალი		10,970,474	6,790,999

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიწისა და შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	არამაკონტოლებელი წილის მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2016	400,000	27,995,221	-	22,309	28,417,530
კაპიტალის შეესება	-	-	-	125,143	125,143
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,808,117	-	(17,118)	6,790,999
გადახდილი დივიდენდი	11	(1,381,950)	-	-	(1,381,950)
ბალანსი 31 დეკემბერი 2016	400,000	33,421,388	-	130,334	33,951,722
სულ წლის სრული შემოსავალი	5	3,273,826	7,534,237	162,411	10,970,474
გადახდილი დივიდენდი	11	(1,208,404)	-	-	(1,208,404)
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	400,000	35,486,810	7,534,237	292,745	43,713,792

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგსაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ		3,436,237	6,790,999
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
მოგების გადასახადი		53,354	(1,503,755)
ცვთა და ამორტიზაცია		1,174,379	949,701
მარაგების ჩამოწერა		48,855	1,659
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება		(50,464)	(27,775)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	18	2,490,847	1,457,979
რეზერვების ამორტიზება/დარიცხვა, წმინდა	8, 9	(138,403)	118,192
შემოსავალი დივიდენდებიდან		(150,000)	(150,000)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი		(753,068)	(1,096,906)
საპროცენტო შემოსავალი		(25,395)	(17,365)
საპროცენტო ხარჯი		1,573,130	1,717,546
სახსრების შემოძენა საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		7,659,472	8,240,275
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		552,855	(1,365,469)
მარაგების ზრდა		(4,011,481)	(1,113,731)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		(818,062)	661,422
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა)/შემცირება		(16,006)	559,770
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა		(116,420)	(76,450)
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)		552,855	(3,643,301)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა		3,929	21,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		6,848,514	(845,156)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(139,369)	(321,261)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		10,516,287	2,117,464
მიღებული პროცენტი		25,395	17,365
გადახდილი პროცენტი		(1,569,068)	(1,733,396)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		8,972,614	401,433
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(6,713,329)	(3,446,508)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		223,688	487,941
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(12,193)	(610)
კაპიტალის შევსება		-	125,143
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(6,501,834)	(2,834,034)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		16,770,150	24,837,742
სესხების დაფარვა		(13,180,605)	(23,927,533)
მიღებული დივიდენდი		125,714	177,773
გაცემული დივიდენდები		(1,208,403)	(1,381,950)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		2,506,856	(293,968)
წმინდა კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში		4,977,636	(2,726,569)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	1,428,977	4,292,785
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		(240,610)	(137,239)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	6,166,003	1,428,977

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლეევან გოგსაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

1. შპს ჯი-თი გრუპ და მისი საქმიანობა

შპს ჯი-თი გრუპ („კომპანია“) დაარსდა 2005 წლის 17 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები იყვნენ გიორგი თავდიშვილი 33%-იანი წილით, გიორგი გველესიანი 34%-იანი წილით და თემურ უსტიაშვილი 33%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სატვირთო და სასოფლო-სამეურნეო ავტომანქანებით, ავტონაწილებით და საავტომობილო ზეთებით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, აღმაშენებლის ხეივანი # 216, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2017 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2016 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2016 წლის 1 იანვარი, მფლობელობა	ყიდვის/დაარს ების წელი	ინსუსტრია
ჯი-თი მოტორს	100%	100%	100%	2007	ავტო მანქანების იმპორტი და ვაჭრობა, ასევე ავტო მანქანებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.
კოლხი ჯგუფი	100%	100%	100%	2010	სამშენებლო მასალებით ვაჭრობა.
ჯი-თი ენოლოჯიკა	51%	51%	51%	2014	სადვინე მეურნეობის სპეცტექნიკით ვაჭრობა.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 201 და 200 თანამშრომელი, შესაბამისად.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 178 თანამშრომელი.

2017 და 2016 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 202 და 189 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს). კომპანია ფასს-ებზე გადავიდა 2016 წლის 1 იანვარს. გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტიულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე - არსებული ფინანსური მდგომარეობის პირველი ფასს ანგარიშგების მომზადებისას.

ვინაიდან კომპანიას არ ევალებოდა ფინანსური ინფორმაციის მომზადება ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაო პრინციპების (ბასპ) მიხედვით და არც მოუმზადებია ის, ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შედარება წინა ბასპ და ფასს ინფორმაციას შორის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების შეფასება იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე თუ განხორციელებული კომერციული გარიგებიდან ადვილად შეიძლება კვოტირებულ ფასზე ინფორმაციის მოპოვება და ეს ფასები წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები, ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების მეთოდებში შეიძლება გამოყენებულ იქნას დაშვებები, რომლებიც ეფუძნება არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთდება შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა თუ ეს დაშვებები რაიმე სახით გამოიწვევს მნიშვნელოვნად გასხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს, დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს. (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეფასების მიზნით, ბასს 39-ში (“ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება”), ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები და (ბ) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები (“FVTPL”). მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვეკატეგორიად: (I) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (II) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური იჯარიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას განეკუთვნება. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან

მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ინვესტიციები ასოცირებულ პირებში. ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლებების 20-50 პროცენტის ფლობას.

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ პირებში აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ფლობილი მიწა და შენობა-ნაგებობები ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც არის გადაფასების დღეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება ისეთი სიხშირით, რომლის შედეგად, საბალანსო ღირებულება დაახლოებით

იმ ღირებულების ტოლია, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოშობილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაფასებით მიღებული ზრდა უკუგებას უკეთებს იმ ზარალს, რომელიც მანამდე გადაფასების შედეგად მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ამ შემთხვევაში ზრდა აღიარდება მოგება-ზარალში როგორც შემოსავალი იმ თანხის ოდენობით, რა თანხაც მანამდე მოგება-ზარალში როგორც ზარალი ისე იყო აღიარებული. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი შემცირება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხით, რა თანხითაც ის აქარბებს ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის ნაშთს.

სხვა ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწისა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. გადაფასებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში. სხვა ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
შენობები	10 – 25
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
სპეციალური ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
გაყიდვებისა და საწარმოო განყოფილების აღჭურვილობა	5 – 10
ავეჯი და სხვა მოწყობილობა	5 – 10
მანქანა-დანადგარები	5 – 10
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც

მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებულ ღირებულებებზე განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოქმნისას ერთი ან მეტი შემთხვევების შედეგად (დანაკარგის შემთხვევები), რომლებიც განხორციელდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას და რომლებსაც აქვთ გავლენა თანხაზე ან ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავლო ფულადი სახსრების ბრუნვის დროის განსაზღვრა ან ფინანსური აქტივების კომპანია, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა ის და რომ ის მოიცავს აქტივის კომპანიაში მგავსი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. საწყისი ფაქტორები იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს განსაზღვრაში არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული მისი გადავადებული სტატუსი და რეალიზება საკუთრების ბანკში ჩადებული უზრუნველყოფის ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხვა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება ასევე იმის გადასაწყვეტად არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ წარმოიქმნა გაუფასურების დანაკარგი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებაზე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად

სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ, რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში, ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის**

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკუროსო მოგება და საკუროსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის და 2016 წლის 1 იანვრისათვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468	2.3949
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7949	2.6169

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული თუ ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო

შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია

საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

მიმდინარე წელს ამოქმედდა შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორება ბასს 7 - განმარტების ინიციატივა;
- შესწორება ბასს 12 - არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება;
- ფასს წლიური რედაქტირების 2014-2016 ციკლი - ფასს 12-ის შესწორებები.

ამ ცვლილებების ამოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 12). შედარება ამ კომპანიის ერთეულების საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის მოცემულია მე-12 შენიშვნაში. შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

შესწორებები ბასს 12 “არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ, ექნება თუ არა მომავალში საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართ შეუძლია გამოქვითვადი დროებითი სხვაობის გამოყენება.

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია, რადგან კომპანია უკვე აფასებს სამომავლო დასაბეგრი მოგების დონეს ამ შესწორებათა შესაბამისად.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავარაუდო არ არის და კომპანიას მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შედეგია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ახალი გადაწყვეტილებები ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;
- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - დაუწრმუნებლობა მოგების გადასახადის მიდგომასთან დაკავშირებით²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა გადახდახდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებთან ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის ახალ მოთხოვნებს. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების მოთხოვნებს. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მოიცავს ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და ბ) მცირე შესწორებებს, გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების სხვა სრულ შემოსავლებში სამართლიანი ღირებულებით ასახვის თვალსაზრისით.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ფასს 9 მოქმედების არეალში ხვდება, თავდაპირველად უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით. მეორე კატეგორიაა ისეთი ბიზნეს ინსტრუმენტები, რომელთა მთავარი მიზანი მიიღწევა, როგორც საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებით, აგრეთვე ამ ფინანსური აქტივების გაყიდვით. ამგვარ ფინანსურ აქტივებს აქვთ ისეთი საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ფულადი სახსრების მოძრაობას. ფულადი სახსრების მოძრაობა ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილი ინვესტიციის და არა პირობითი ანაზღაურებისა, რომელსაც შემსყიდველი აღიარებს ბიზნესის გაერთიანების შემთხვევაში) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ცვლილების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალში.
- **გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფასს 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელს, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი, საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოთხოვნაში შენარჩუნებულია ამჟამად ბასს 39-ით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვის სამი მექანიზმი. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე

აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

მენეჯმენტს ჯერ არ დაუსრულებია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის, რომ ფასს 9-ის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და გაცემულ სესხებზე.

მთლიანობაში, კომპანიის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება შედეგად მოიტანს შესაბამის პუნქტებზე საკრედიტო დანაკარგების ადრეულ აღიარებას და გაზრდის ამ პუნქტებისათვის აღიარებული დანაკარგების რეზერვის მოცულობას.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლებს, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო კონკრეტული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტულ სცენარებს. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. 2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებითი ბარათი, რომელიც ვალდებულებათა მაჩვენებლების იდენტიფიცირებას, კონტრაგენტის ანაზღაურებისა და ძირითადი თანხის შეპირისპირებასა და ლიცენზირების განაცხადის პროცედურას მოიცავს.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით, მომავალში ფასს 15-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შემოსავლის აღიარების მოცულობასა და ვადებზე. თუმცა, დეტალური ანალიზის გარეშე ახალი ფასს-ის ეფექტის სათანადოდ შეფასება არამართებულია.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალდირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელობას არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

რაც შეეხება ფინანსურ იჯარას, კომპანიას ფინანსური იჯარა არ გააჩნია, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც კომპანია არის მეიჯარის როლში (როგორც საოპერაციო, აგრეთვე ფინანსურ იჯარაში), კომპანიის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ფასს 16-ის ამოქმედებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. თუმცა, ამჟამად ამ სტანდარტის ეფექტის სათანადო შეფასება, დეტალური ანალიზის გარეშე, გონივრული არ იქნებოდა.

ფასი 22 „სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება“

ფასი 22 არეგულირებს აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის დასადგენად „ტრანზაქციის თარიღის“ განსაზღვრას, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება წინასწარ გადახდილი ან მიღებულია უცხოურ ვალუტაში და ამან გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანია პირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდიდან ან მიღებიდან წარმოშობილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ საქმე ეხება რამდენიმე საავანსო გადახდას ან გადახდის მიღებას, ინტერპრეტაცია კომპანიებს ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღი დაადგინოს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების თითოეული შემთხვევისათვის.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. კომპანიებს ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლიათ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. პროსპექტიული გამოყენებისას ძალაში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

კომპანია არ ელის, რომ ფაისკ 22-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, რადგან კომპანია ამჟამად უკვე იყენებს ამ ინტერპრეტაციაში აღწერილ მიდგომას.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ადრე ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს. ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა დანადგარები	სპეციალური ინვენტარი	კომპიუტერული ი ტექნიკა და მოწყობილობები	გაციდებისა და საწარმოო განყოფილების აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება 1											
იანვარი 2016	4,491,916	76,750	10,370,081	1,571,003	403,484	215,494	962,482	386,769	985,098	311,123	19,774,200
შესყიდვა	204,700	1,500,570	131,700	23,215	54,098	84,082	505,831	16,829	1,284,492	34,500	3,840,017
გადატანა	-	(94,876)	94,876	-	-	-	-	-	-	-	-
რეალიზაცია	(406,300)	-	(43,178)	(40,560)	-	(72,851)	-	(13,986)	(524,410)	-	(1,101,285)
ღირებულება 31											
დეკემბერი 2016	4,290,316	1,482,444	10,553,479	1,553,658	457,582	226,725	1,468,313	389,612	1,745,180	345,623	22,512,932
შესყიდვა	4,464	3,040,514	213,750	324,432	381,997	294,965	48,182	547,809	2,104,917	47,126	7,008,156
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	(529,319)	-	(529,319)
გადაფასება	4,735,391	-	1,298,915	-	-	-	-	-	-	-	6,034,306
ღირებულება 31											
დეკემბერი 2017	9,030,171	4,522,958	12,066,144	1,878,090	839,579	521,690	1,516,495	937,421	3,320,778	392,749	35,026,075

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

დაგროვილი											
ცვეთა 1 იანვარი											
2016	-	-	(740,594)	(390,121)	(132,803)	(128,411)	(100,920)	(186,448)	(236,996)	(84,779)	(2,001,072)
ცვეთა	-	-	(379,512)	(141,154)	(47,164)	(30,019)	(117,337)	(37,415)	(154,621)	(37,890)	(945,112)
გაყიდულის											
ცვეთა	-	-	5,927	15,300	-	64,625	-	12,587	155,360	-	253,799
დაგროვილი											
ცვეთა											
31 დეკემბერი											
2016	-	-	(1,114,179)	(515,975)	(179,967)	(93,805)	(218,257)	(211,276)	(236,257)	(122,669)	(2,692,385)
წლის დარიცხვა	-	-	(385,752)	(147,202)	(54,757)	(56,124)	(134,884)	(66,916)	(280,111)	(41,639)	(1,167,385)
გაყიდულის											
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	61,269	-	61,269
გადაფასების											
შედეგად											
ცვეთის											
ელმინაცია	-	-	1,499,931	-	-	-	-	-	-	-	1,499,931
დაგროვილი											
ცვეთა											
31 დეკემბერი											
2017	-	-	-	(663,177)	(234,724)	(149,929)	(353,141)	(278,192)	(455,099)	(164,308)	(2,298,570)
წმინდა											
საბალანსო											
ღირებულება											
1 იანვარი 2016	4,491,916	76,750	9,629,487	1,180,882	270,681	87,083	861,562	200,321	748,102	226,344	17,773,128
31 დეკემბერი											
2016	4,290,316	1,482,444	9,439,300	1,037,683	277,615	132,920	1,250,056	178,336	1,508,923	222,954	19,820,547
31 დეკემბერი											
2017	9,030,171	4,522,958	12,066,144	1,214,913	604,855	371,761	1,163,354	659,229	2,865,679	228,441	32,727,505

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დაგირავებული ბანკებისგან მიღებული სესხებით (შენიშვნა 12). 2017 და 2016 წლების და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული ძირითადი საშუალებები.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დაგირავებული ბანკებისგან მიღებული სესხებით (შენიშვნა 12). 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული ძირითადი საშუალებები.

კომპანიის მიწა და შენობა-ნაგებობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. კომპანია გადაფასების მეთოდს იყენებს 2017 წლის 1 იანვრიდან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირებული ღირებულების შეფასება განხორციელდა შპს „ექსპერტ ჯგუფი“-ის მიერ 2018 წლის 20 აგვისტოს. შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულება განისაზღვრა ბაზრის შედარებითი მიდგომით, რომელშიც მხედველობაში მიიღება მსგავს ქონებაზე ბოლოდროინდელი ტრანზაქციების შედეგები.

კომპანიის მიერ ფლობილი შენობა-ნაგებობები ისტორიული ღირებულებით რომ ასახულიყო, მათი ნარჩენი საბალანსო ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მიწა და შენობა-ნაგებობები	13,562,078	13,729,616	14,121,403

6. ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში

ჯგუფის ასოცირებული კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში შეადგენს:

		31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016		1 იანვარი 2016	
დასახელება	საქმიანობა	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი
შპს	საკვები	6,076,153	50%	5,323,085	50%	4,226,178	50%
ევროპროდუქტი	პროდუქტებით						
ტი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა						
სულ ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		6,076,153		5,323,085		4,226,178	

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

მოდრაობა ასოცირებული კომპანიის ინვესტიციაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირია:

	2017	2016
ინვესტიციის ღირებულება 1 იანვარი	5,323,085	4,226,178
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	903,068	1,246,907
მიღებული დივიდენდი	(150,000)	(150,000)
ინვესტიციის ღირებულება 31 დეკემბერი	6,076,153	5,323,085

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მთლიანი ვალდებულებები	(6,734,226)	(5,415,346)	(4,105,584)
მთლიანი აქტივები	17,716,090	14,891,073	11,387,499
წმინდა აქტივები	10,981,864	9,475,727	7,281,915

	2017	2016
მთლიანი შემოსავალი	28,548,265	21,846,113
მოგება	1,806,137	2,493,812

7. მარაგები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მსუბუქი ავტომანქანები	11,781,362	9,492,116	8,670,036
სათადარიგო ნაწილები	4,493,271	4,427,088	4,165,260
ზეთი	1,844,678	1,447,256	1,650,728
სასოფლო ტექნიკა	1,694,209	1,290,952	864,510
ავტო სათადარიგო ნაწილები	1,348,489	1,186,531	1,158,690
სატვირთო ტექნიკა	882,360	506,453	588,033
სარეალიზაციო სამშენებლო მასალები	790,560	609,163	762,472
ღვინის სპეც. ტექნიკა	280,856	141,453	72,528
სამშენებლო მასალები	253,137	323,477	-
მიკროავტობუსები და სპეც. ტექნიკა	237,055	115,907	506,936
ნედლეული და მასალები	191,808	205,688	123,461
სარეკლამო მასალები	105,951	102,755	115,401
ზეთები და საცხებ საპოხი მასალები	33,504	45,693	107,940
სხვა	15,670	95,752	92,218
სულ მარაგები	23,952,910	19,990,284	18,878,213

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	3,636,111	4,014,863	2,576,013
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24,105	10,929	2,044
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,660,216	4,025,792	2,578,057
ანარიცხები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან	(297,848)	(392,953)	(310,534)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	3,362,368	3,632,839	2,267,523

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

	2017	2016
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარი	(392,953)	(310,534)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	(82,419)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ამოღება	95,105	-
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერი	(297,848)	(392,953)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვების ანალიზი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
2-3 თვემდე ვადის	1,978	3,702	4,504
3-დან 6 თვემდე ვადის	75,202	91,393	2,410
6-დან 12 თვემდე ვადის	36,937	3,099	9,423
12 თვეზე მეტი ვადის	183,731	294,759	294,197
სულ გაუფასურების რეზერვი	297,848	392,953	310,534

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

9. გადახდილი ავანსები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3,412,755	2,382,926	3,044,112
წინასწარ გადახდილი ხელფასები	41,012	200,972	201,208
სულ გადახდილი ავანსები	3,453,767	2,583,898	3,245,320
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებზე შექმნილი რეზერვი	(282,687)	(325,985)	(290,212)
სულ გადახდილი ავანსები, წმინდა	3,171,080	2,257,913	2,955,108

გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

	2017	2016
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარი	(325,985)	(290,212)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	(35,773)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვის ამოღება	43,298	-
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერი	(282,687)	(325,985)

გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვების ანალიზი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
12 თვეზე მეტი ვადის	282,687	325,985	290,212
სულ გაუფასურების რეზერვი	282,687	325,357	290,212

10. ფული და ფულის ექვივალენტები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ნაღდი ფული სალაროში	21,132	84,398	19,612
ფული ბანკში	6,144,871	1,344,579	4,273,173
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	6,166,003	1,428,977	4,292,785

11. საწესდებო კაპიტალი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 400,000 ლარს.

2017 და 2016 წლების განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 1,208,404 ლარის და 1,381,950 ლარის ოდენობის დივიდენდები, შესაბამისად.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ გიორგი თავდიშვილი 33%-იანი წილით, გიორგი გველესიანი 34%-იანი წილით და თემურ უსტიაშვილი 33%-იანი წილით.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

12. სესხები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი		ვადიანობა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
საქართველოს ბანკი #1	ევრო	6.5%	17/08/2018	4,350,109	3,464,643	-
საქართველოს ბანკი #2	დოლარი	7.5%	15/10/2019	2,009,865	3,035,353	3,558,557
საქართველოს ბანკი #3	დოლარი	7.09%	21/09/2023	1,941,061	1,469,339	-
საქართველოს ბანკი #4	ლარი	12%	21/09/2023	1,939,590	-	-
თიბისი ბანკი #1	ევრო	7.0%	24/11/2018	1,845,637	-	-
საქართველოს ბანკი #5	დოლარი	7.5%	19/03/2021	1,735,509	-	-
საქართველოს ბანკი #6	ევრო	6.5%	17/08/2018	1,711,373	-	-
საქართველოს ბანკი #7	დოლარი	7.5%	19/10/2018	1,355,581	2,957,052	3,976,976
ბანკი რესპუბლიკა #1	ევრო	8.0%	28/11/2017	-	668,202	-
ბანკი რესპუბლიკა #2	დოლარი	8.0%	20/07/2017	-	563,854	-
ბანკი რესპუბლიკა #3	დოლარი	8.0%	20/04/2017	-	276,801	-
ბანკი რესპუბლიკა #4	ევრო	8.0%	16/08/2016	-	-	1,365,335
საქართველოს ბანკი 8	დოლარი	6.5%	30/12/2016	-	-	658,403
ბანკი რესპუბლიკა #5	ევრო	8.0%	16/08/2016	-	-	443,782
საქართველოს ბანკი #9	დოლარი	9.75%	12/09/2016	-	-	710,509
სულ სესხები				16,888,725	12,435,244	10,713,562

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ერთ თვემდე	320,959	241,365	258,931
ერთიდან სამ თვემდე	619,690	447,040	624,988
სამიდან თორმეტ თვემდე	10,495,028	7,094,547	4,422,708
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი მიმდინარე ნაწილი	11,435,677	7,782,952	5,306,627
ერთიდან ხუთ წლამდე	5,453,048	4,652,292	5,406,935
ხუთ წელზე მეტი	-	-	-
სულ ნასესხები სესხები	16,888,725	12,435,244	10,713,562

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	1 იანვარი 2017	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2017
აღებული სესხები	12,435,244	3,589,545	4,061	859,875	16,888,725

	1 იანვარი 2016	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2016
აღებული სესხები	10,713,562	910,209	(15,850)	827,323	12,435,244

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სავაჭრო ვალდებულებები	11,556,935	3,063,012	3,337,477
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	19,023	29,867	8,502
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,575,958	3,092,879	3,345,979

14. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგის რეალიზაციისგან:

	2017	2016
მსუბუქი ავტომანქანები	52,087,774	50,164,006
სატვირთო მანქანები	11,600,682	8,983,951
მიკროავტობუსები	5,641,005	10,795,101
ზეთი	5,508,578	5,422,175
სათადარიგო ნაწილები და სხვა	5,090,528	4,634,400
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	2,918,595	1,614,125
ავტონაწილები	2,198,790	3,399,897
ღვინის სპეციალური ტექნიკა	1,971,480	159,887
შემოსავალი მომსახურებიდან	1,904,354	1,617,796
სამშენებლო მასალები	941,812	932,294
ზეთი და საცხებ-საპოხი საშუალებები	597,303	704,215
შემოსავლები იჯარიდან	282,111	482,879
სხვა შემოსავლები	1,483,704	1,783,314
სულ შემოსავალი	92,226,716	90,694,040

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

15. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგისაგან:

	2017	2016
რეალიზებული მსუბუქი ავტომანქანების ღირებულება	43,575,938	45,115,465
რეალიზებული სატვირთო მანქანების ღირებულება	10,495,654	7,011,025
რეალიზებული მიკროავტობუსების ღირებულება	4,743,255	8,927,101
რეალიზებული ზეთის ღირებულება	4,000,450	3,970,874
რეალიზებული სათადარიგო ნაწილების და სხვათა ღირებულება	3,076,187	3,071,197
რეალიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება	2,453,542	1,345,316
რეალიზებული ღვინის სპეც ტექნიკის ღირებულება	1,464,245	118,086
რეალიზებული ავტონაწილების ღირებულება	1,445,101	2,044,478
რეალიზებული სამშენებლო მასალების ღირებულება	570,182	599,441
რეალიზებული ზეთის და საცხებ-საპოხი საშუალების ღირებულება	312,931	361,824
სხვა	705,553	991,567
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	72,843,038	73,556,374

16. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდების და მომსახურების ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	4,298,213	4,097,708
ცვეთა და ამორტიზაცია მომსახურებაზე	531,763	761,947
რეკლამის ხარჯები	137,420	118,065
ავტომანქანის გადაფორმების ხარჯი	124,059	212,883
დამხმარე მასალების დანახარჯები/შემენა	116,775	49,766
სათადარიგო ნაწილების კატალოგების ონლაინ მომსახურება	52,904	66,067
სხვა მიწოდების ხარჯი	220,219	135,002
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	5,481,353	5,441,438

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2017	2016
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება	2 795 826	2 347 231
შენობა-ნაგებობების რემონტი	1 669 142	-
საგადასახადო ხარჯები	1 144 606	667 829
ცვეთა და ამორტიზაცია	644 204	187 754
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	372 115	368 347
საკონსულტაციო ხარჯები	173 206	112 012
მივლინების ხარჯები	150 329	203 984
საიჯარო ქირა	118 179	106 493
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	78 501	-
სამეურნეო ხარჯი	77 670	65 623
საბანკო ხარჯები	73 021	135 838
წარმომადგენლობითი ხარჯები	34 726	49 403
სხვა ხარჯები	248 212	161 154
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7,549,737	4,405,668

18. წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე

წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე შედგება შემდეგისაგან:

	2017	2016
მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(24,354,817)	(19,162,782)
შემოსავალი კონვერტაციიდან	(67,262)	(22,927)
ხარჯი კონვერტაციიდან	43,829	30,961
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	26,869,097	20,612,727
სულ წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	2,490,847	1,457,979

19. სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა

სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2017	2016
მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები	(361,193)	-
ანარიცხები სავაჭრო მოთხოვნებიდან	(138,289)	116,447
სადაზღვევო კომპანიისგან ანაზღაურებული თანხები	44,990	(107,393)
პირგასამტეხლო სავაჭრო ურთიერთობებიდან	138,118	84,101
სხვა არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავალი	43,857	(1,092)
სულ საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	272,517	(92,063)

20. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანია შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2017 და 2016 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,362,368	3,632,839	2,267,523
ფული და ფულის ექვივალენტი	6,166,003	1,428,977	4,292,785
მისაღები დივიდენდები	182,526	158,240	186,013
სულ საკრედიტო რისკი	9,710,897	5,220,056	6,746,321

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

	31 დეკემბერი 2017			31 დეკემბერი 2016		
	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL	GBP 1 = 3.5005 GEL	USD 1 = 2.6468 GEL	EUR 1 = 2.7940 GEL	GBP 1 = 3.2579 GEL
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	91,611	548,851	117	119,265	98,195	144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50	240,571	-	13,340	122,057	-
სულ ფინანსური აქტივები	91,661	789,422	117	132,605	220,252	144
ფინანსური ვალდებულებები						
სესხები	2,047,106	3,106,116	-	3,136,769	1,479,186	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	332,590	3,354,677	2,355	401,194	509,081	7,403
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,379,696	6,460,793	2,355	3,537,963	1,988,267	7,403
სულ წმინდა პოზიცია	(2,288,035)	(5,671,371)	(2,238)	(3,405,358)	(1,768,015)	(7,259)
	1 იანვარი 2016					
	USD 1 = 2.3949 GEL	EUR 1 = 2.6169 GEL	GBP 1 = 3.5492 GEL			
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	110,639	1,122,678	-			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	8,644	-			
სულ ფინანსური აქტივები	110,639	1,131,322	-			
ფინანსური ვალდებულებები						
სესხები	3,718,087	691,320	-			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,073,717	148,372	-			
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,791,804	839,692	-			
სულ წმინდა პოზიცია	(4,681,165)	291,630	-			

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2017 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%	- 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(228,804)	228,804	(567,137)	567,137	(224)	224

2016 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%	- 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(340,536)	340,536	(176,801)	176,801	(726)	726

2016 წლის 1 იანვარს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%	- 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(468,116)	468,116	29,163	(29,163)	-	-

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სულ სესხები (შენიშვნა 12)	16,888,725	12,435,244	10,713,562
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	(6,166,003)	(1,428,977)	(4,292,785)
წმინდა სესხები	10,722,722	11,006,267	6,420,777
 სულ კაპიტალი	 43,743,837	 33,951,722	 28,417,530
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	24,51%	32,42%	22,59%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

2017 წლის 31 დეკემბერი:

	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები დროით	1 დან 2 თვემდე	2 დან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტი	6,166,003	-	-	-	-	-	6,166,003
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,074,984	776,072	-	423,723	895,065	192,524	3,362,368
მისაღები დივიდენდები	182,526	-	-	-	-	-	182,526
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	7,423,513	776,072	-	423,723	895,065	192,524	9,710,897
ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,844,532	565,557	3,842,829	204,522	4,074,730	43,788	11,575,958
სესხები	355,135	604,746	412,240	1,144,914	8,411,045	6,260,181	17,188,261
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	3,199,667	1,170,303	4,255,069	1,349,436	12,485,775	6,303,969	28,764,219
ლიკვიდობის დეფიციტი	4,223,846	(394,231)	(4,255,069)	(925,713)	(11,590,710)	(6,111,445)	(19,053,322)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	4,223,846	3,829,615	(425,454)	(1,351,167)	(12,941,877)	(19,053,322)	

22. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	მეკავშირე კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	სხვა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	106,272	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	36	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

	მფლობელები	მეკავშირე კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	სხვა
შემოსავალი	90,038	642	508,833	-
მარაგების შეძენა	-	-	-	-
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	18,000	-	1,751,051	-

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ პირებთან შემდეგია:

	მფლობელები	მეკავშირე კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	სხვა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	410	226,097	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მეკავშირე კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	სხვა
შემოსავალი	377,352	1,804	247,513	-
მარაგების შეძენა	-	-	226,091	-
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	15,000	-	1,437,532	-

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ პირებთან შემდეგია:

	მფლობელები	მეკავშირე კომპანია	მთავარი მენეჯმენტი	სხვა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	233,325	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	3,675	-	-

23. შემდგომი მოვლენები

2018 წლის 30 ივნისს კომპანიამ გამოაცხადა 500,000 ლარის ოდენობის დივიდენდები.

შპს ჯი თი გრუპი

მმართველობითი ანგარიშგება და
2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
მოსაზრება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჯი-თი გრუპ-ის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი გრუპ“-ის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ჯი-თი გრუპ“-ის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ჯი-თი გრუპ“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანშვილი

მმართველი პარტნიორი

2018 წელი, თბილისი, საქართველო

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია „ჯი-თი გრუპ“, მულტიბრენდული, მრავალფეროვანი ბიზნესის მქონე კომპანიაა, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია საქმიანობს საქართველოს ბაზარზე, საავტომობილო, სასოფლო-სამეურნეო, მუნიციპალური და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის იმპორტისა და მომსახურების სფეროებში.


კომპანია მუდმივად ვითარდება და სთავაზობს ბაზარს ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებს საავტომობილო ბიზნესის, მუნიციპალური, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო მიმართულებებით. თუ ჩვენი კომპანიის რომელიმე მიმართულება პრობლემების წინაშე დგება, ან ეკონომიკის რომელიმე დარგში კრიზისული მოვლენები ვითარდება, კომპანიის სხვა ბიზნეს-მიმართულებები საშუალებას გვაძლევს დავრჩეთ ბაზარზე და გავაგრძელოთ საქმიანობა. შესაბამისად, შპს „ჯი-თი გრუპ“ მუდმივად ცდილობს მისი ბიზნესის დივერსიფიცირებას და ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საქმიანობის განვითარებას.

„ჯი-თი გრუპ“, როგორც კომპანია, თავისი სტრუქტურით ჰოლდინგურ გაერთიანებას წარმოადგენს. მისი დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები, შემდეგი წილობრივი მონაწილეობით: გიორგი გველესიანი - 34%, გიორგი თავდიშვილი - 33% და თემურ უსტიაშვილი - 33%.

ჰოლდინგის შემადგენლობაში შედის რამდენიმე, დამოუკიდებლად მომუშავე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შპს „ჯი-თი გრუპ“ 100% წილის მფლობელია შვილობილ კომპანიებში: შპს „ჯი-თი მოტორს“ და შპს „კოლხი ჯგუფი“, ხოლო ერთობლივ, ქართულ-იტალიურ კომპანიაში შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“ ფლობს 51%-იან წილს. კომპანია „ჯი-თი გრუპ“ არის მეკავშირე და 50%- წილის მფლობელი შპს „ევროპროდუქტი“-ს (იხ. ნახ. 1).

შპს „ჯი-თი გრუპ“ მმართველ ორგანოს წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კომპანიის დამფუძნებლები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი გველესიანი.

ნახ. 1, შპს „ჯი-თი გრუპ“-ის ჰოლდინგის შემადგენლობა



შპს „ჯი-თი გრუპ“-ის საქმიანობის სპეციფიკაში აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - იგი მჭიდროდ თანამშრომლობს რამდენიმე პარტნიორ გლობალურ კორპორაციასთან: „ბი-პი კასტროლი“,

„ფორდი“, „ივეკო“, „უნი“, „ნიუ ჰოლანდი“, „მანიტუ“, „ტანა“ და სხვები. კომპანია „ჯი-თი გრუპ“ ჩამოთვლილი საერთაშორისო კომპანიების ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში და მათი პროდუქციის იმპორტს, გაყიდვებსა და სასერვისო მომსახურებას ეწევა საქართველოს მასშტაბით. „ჯი-თი გრუპ“-ის პარტნიორი კორპორაციები, რომლებიც მსოფლიო საავტომობილო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და ავტოსაინჟინრო სფეროების ლიდერები და ნოვატორები არიან, მუდმივად სთავაზობენ თავის პარტნიორ კომპანია-დისტრიბუტორებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალი ცოდნის გავრცელებას სამოქმედო ტერიტორიებზე. კომპანია „ჯი-თი გრუპ“ ამ მხრივ ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში, რომლისთვისაც ტექნოლოგიური ინოვაციები, ბიზნესის სიახლეები და ახალი პროექტები, განვითარების მთავარ საფუძველს შეადგენენ. ბოლო წლებში „ჯი-თი გრუპ“-ის ახალი პროექტების განხორციელებისა და უახლესი ტექნოლოგიური პროდუქტების იმპორტირების რამდენიმე მაგალითია აღსანიშნავი:

- „ჯი-თი გრუპ“-ის ბაზაზე აღჭურვილი და სრულად დაკომპლექტებული სასწრაფო დახმარების მანქანების მიწოდება რეგიონების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებისთვის, რაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანებზე აქამდე არსებული მწვავე დეფიციტის შემცირებას შეუწყობს ხელს;

- „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მაღალი გამავლობის სახანძრო და სამაშველო ავტომობილების მიწოდება საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, რომლებიც დიდად დაეხმარება აღნიშნულ სამსახურებს მაღალმთიან და მწველად მისადგომ რაიონებში მუშაობის დროს.

- „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ მუნიციპალური ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო და სხვა კომუნალური დანიშნულების ტექნიკის მიწოდება სხვადასხვა რეგიონის საქალაქო და მუნიციპალური სამსახურებისათვის, რაც მუნიციპალიტეტების მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის;

- თანამედროვე, ახალი სამშენებლო ტექნიკისა და სატვირთო ავტომობილების მიწოდება კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, საქართველოს მშენებლობის მზარდი სექტორის მოთხოვნების შესაბამისად.

- საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის, მაღალი გამავლობის, სპეციალური დანიშნულების სატვირთო ავტომობილების მიწოდება, სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

- თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორები, კომბაინები, მისაბმელი აგრეგატები) მიწოდება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის და კერძო კომპანიებისთვის, რომელიც სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეურნეობის წესების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

- ელექტროძრავზე მომუშავე, ეკოლოგიურად სუფთა, ნულოვანი ემისიის დასუფთავების დანადგარების მიწოდება კერძო სამშენებლო კომპანიებისთვის და ახალი საცხოვრებელი კომპლექსებისთვის.

- „ჯი-თი გრუპ“-ის შვილობილი კომპანიის, „ჯი-თი მოტორს“-ის მიერ, უსაფრთხო, საპოლიციო სამსახურებისთვის შექმნილი, ამერიკული წარმოების სპეციალური ავტომობილების მიწოდება ქართული პოლიციისთვის, რაც გააუმჯობესებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას და ხელს შეუწყობს მის თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანას;

- „ჯი-თი გრუპ“-ის შვილობილი კომპანიის, „კოლხი ჯგუფი“-ს მიერ საქართველოში მოწინავე ტექნოლოგიებითა და ევროკავშირის სტანდარტებით ეკოლოგიურად დამზადებული გადასახური და მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების იმპორტი და სამონტაჟო მომსახურება. ამ მასალებისა და ტექნოლოგიების იმპორტი ხელს უწყობს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე ევროპული პროდუქციის

პოპულარობის ზრდასა და ევროკავშირში მიღებული სამშენებლო სტანდარტების გავრცელებას, დიზაინისა და მშენებლობის სფეროებში.

- „ჯი-თი გრუპ“-ისა და მისი პარტნიორი იტალიური კომპანიის „კონსულენტე ენოლოჯიკა“-ს მიერ დაარსებული ერთობლივი საწარმოს, „ჯი თი ენოლოჯიკას“ მიერ ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების იმპორტი მევენახეობის და ღვინის მწარმოებელი კერძო კომპანიებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

„ჯი-თი გრუპ“ წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო თუ კერძო დაკვეთებს და მსხვილ თუ მცირე ზომის პროექტებს, ერთნაირად, მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებს.

სამომავლოდ, ჰოლდინგი გაფართოებას, არსებული მიმართულებების განვითარებას (მუნიციპალური ელექტრო ავტომობილების იმპორტი და მომსახურება, მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავება და მეორადი გამოყენება - „რისაიკლინგი“), მეღვინეობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით სხვა სფეროების ათვისებას და ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბებას გეგმავს.

კომპანია „ჯი-თი გრუპ“ საქართველოში წარმოდგენილია ავტოსერვისის, საწარმოო და სავაჭრო პროფილის შემდეგი ობიექტებით:

ა) თბილისის სათაო ოფისი, გაყიდვების ოფისი და ავტოსერვისის საამქრო.

ბ) შპს „ჯი-თი მოტორს“-ის სხვადასხვა ბრენდის სამგზავრო ავტომობილების საგამოფენო სივრცეები და ავტოსერვისის საამქროები.

გ) ბათუმში მდებარე საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქრო და

დ) „ჯი-თი გრუპ“-ის ქუთაისის ფილიალში მდებარე ავტოსერვისი და მაღაზია.

ქვემოთ გთავაზობთ „ჯი-თი გრუპ“-ის ოფისებისა და ფილიალების მოკლე აღწერას:

- **შპს „ჯი-თი გრუპის“ სათაო ოფისი**, სატვირთო ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ავტოსერვისის საამქრო და საწყობები მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #216, დიდი დიღომი, 0131 თბილისი.

- თბილისის სათაო ოფისის საგამოფენო სივრცეებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის სამშენებლო, სპეციალური დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. სატვირთო ავტომობილები - „ფორდი სატვირთო“, „ივეკო“; ტრაქტორები - „ნიუ ჰოლანდი“; დამტვირთველები - „მანიტუ“ და „ნიუ ჰოლანდი“; სამგზავრო ავტობუსები - „ივეკო“, „ისიძუ“, „გოლდენ დრაგონი“ და „ჟონგ-ტონგი“; ასევე ძრავის ზეთი და საცხებ-საპოხი მასალები - „ბი-პი კასტროლი“.

- „ჯი-თი გრუპ“-ის თბილისის სათაო ოფისთან მდებარე, სატვირთო, სამშენებლო და სასოფლო დანიშნულების ტექნიკის ავტოსერვისი, რომელსაც ერთდროულად რვა ერთეული ტექნიკის მომსახურება შეუძლია, აღჭურვილია ჩვენი პარტნიორი კომპანიის „ფორდი სატვირთო“-ს მოთხოვნების შესაბამისად და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სატვირთო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.

- „ჯი-თი გრუპ“-ის სათაო ოფისის საწყობები აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების დანადგარებით და გამოიყენება საცხებ-საპოხი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესანახად და სრულად შეესაბამება ჩვენი პარტნიორების, „ბი-პი კასტროლი“-ს, „ფორდი“-სა და „ნიუ-ჰოლანდი“-ს უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.

- „ჯი-თი გრუპ“-ის თბილისის სათაო ოფისში განლაგებულია კომპანიის მენეჯმენტისა და გაყიდვების პერსონალის სამუშაო ოფისები.

- **შპს „ჯი-თი მოტორს“-ის სათაო ოფისი**, ავტომობილების საგამოფენო სივრცეები და ავტოსერვისის საამქროები თბილისში: მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, 0131 თბილისი. „ჯი-თი მოტორს“-ის თბილისის ოფისი შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:

- 1) „ფორდ მოტორს“-ის საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქროები.
- 2) „ლენდ როვერი“-ს საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქრო.
- 3) „იაგუარი“-ს საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქრო.
- 4) „სუზუკი“-ს საგამოფენო სივრცე (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, №216).

- **„ჯი-თი გრუპ“-ის ბათუმის ფილიალი.** მისამართი: ორბელიანის ქუჩა #7, 6010 ბათუმი საქართველო. „ფორდი“-სა და „სუზუკი“-ს საგამოფენო სივრცეები და ავტოსერვისი.
- **„ჯი-თი გრუპ“-ის ქუთაისის ფილიალი.** მისამართი: ნიკეას ქუჩა 10/12, 4600 ქუთაისი, საქართველო. ფილიალში განთავსებულია ავტოსერვისი და საცხებ-საპოხი მასალების მაღაზია.

ახლო მომავალში დაგეგმილია შპს „ჯი-თი გრუპ“-ის რეგიონალური წარმომადგენლობების გახსნა ქ. მარნეულსა და ქ. ზუგდიდში.

„ჯი-თი გრუპ“, როგორც ინოვაციებზე და თანამედროვე ტექნოლოგიების იმპორტსა და გავრცელებაზე ორიენტირებული კომპანია, მუდმივად ატარებს სხვადასხვა სახის კვლევებსა და ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა საქართველოს ბაზარზე მისი საქმიანობის ეფექტურობის შესასწავლად. კვლევების შედეგად მიღებული ახალი ცოდნა საჭიროა კომპანიის მდგრადი განვითარებისათვის, განსაკუთრებით ისეთ მაღალკონკურენტულ სფეროებში, როგორებიცაა საავტომობილო ბიზნესი, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, მუნიციპალური დანიშნულებისა და სხვა სპეციალიზირებული ტექნიკისა და დანადგარების მიწოდება და სერვისი მომხმარებლისათვის.

ეს კვლევები ძირითადად მოიცავენ ბაზრის შესწავლას (პროდუქტების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით), მარკეტინგულ კვლევებს, კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების მიმოხილვასა და მომხმარებლის დამოკიდებულების ანალიზს, „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ შეთავაზებული პროდუქციისა და სერვისების შესახებ. ასეთი ტიპის კვლევები საჭიროა, როგორც ჩვენი კომპანიის ეფექტური მუშაობისთვის ქართულ ბაზარზე, ისე – ჩვენი პარტნიორი კომპანიებისთვის საზღვარგარეთ, რომელთათვის ადგილობრივი ბაზრების კვლევების შედეგები და საექსპორტო ბაზრების ანალიზი, მათი საწარმოო და მარკეტინგული სტრატეგიის მიმართულებებს განსაზღვრავენ.

„ჯი-თი გრუპ“-ში რეგულარული ხასიათი აქვს ტრენინგებსა და სასწავლო ღონისძიებებს, რომლებიც უტარდებათ ჩვენი კომპანიის მართვის, ტექნიკური და გაყიდვების სფეროში მომუშავე პერსონალს ჩვენი უცხოელი პარტნიორების, „ფორდი“-ს, „ბი პი კასტროლი“-ს, „ლენდ როვერი“-ს, „ივეკო“-ს, „ნიუ ჰოლანდი“-სა, „ისუპუ“-ს, „კუნი“-ს, „ჰაკო“-სა და სხვა მომწოდებელი კომპანიების სასწავლო ცენტრებში.

ამ სწავლებების ძირითადი მიზანია „ჯი-თი გრუპ“-ის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის იმ სიახლეების გაცნობას, რომლებიც ახალ და პროდუქციის ახალ მოდელებთან სამუშაოდ არის აუცილებელი.

„ჯი-თი გრუპ“ აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ნოვატორულ პროექტებში, რომლებიც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისა და ზოგადად, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას ემსახურება. 2017 წლიდან „ჯი-თი გრუპ“, სს საქართველოს ბანკთან და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (European Bank for Reconstruction and Development, EBRD) ერთად მონაწილეობას იღებს EU4Business პროექტში, რომელიც გარდა ბიზნეს-კომპონენტისა, მოიცავს ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტების ნაწილსაც, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრ ქვეყნებში მომუშავე ბიზნეს-კომპანიებს, პროექტებში მონაწილეობისას, ევროკავშირის ეკოლოგიური ნორმებით მუშაობასა და გარემოსდაცვით მენეჯმენტის ვალდებულებების შესრულებას აცნობს.

„ჯი-თი გრუპ“ უკვე ათი წელია ბაზრის ლიდერია ახალი სამშენებლო და მუნიციპალური სატვირთო ავტომობილების გაყიდვების სეგმენტში. „ფორდი“-სა და „ივეკო“-ს ბრენდების სატვირთო მანქანები

ფართოდ არიან წარმოდგენილი სამშენებლო, მუნიციპალური (ნარჩენების შემგროვებელი კომპაქტორები, გადამზიდავი მანქანები, სახანძრო და სამაშველო მანქანები), გარემოს დაცვისა და სადისტრიბუციო სფეროებში. საქართველოს მუნიციპალიტეტების ნაგვის შემკრები მანქანების უდიდესი ნაწილი „ფორდი სატვირთო“-ს ბაზაზეა და ისინი წარმატებით მუშაობენ მუნიციპალურ სექტორში.

„ჯი-თი გრუპ“ რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო განვითარებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროექტებში (USAID, EBRD, აშშ-ს სავაჭრო პალატა საქართველოში), ტენდერებში და ღონისძიებებში, რომლებიც ბიზნესის განვითარებისა და შიდა ბაზრის ხელშესაწყობად ტარდება საქართველოში.

2018 წელს „ჯი-თი გრუპ“ დარეგისტრირდა აშშ-ს მთავრობის ფედერალური შესყიდვების ბაზაში (System for Award registration, SAM), რომელიც მას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს აშშ-ს მთავრობის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო შესყიდვებში.

ძალიან მრავალფეროვანია „ჯი-თი გრუპ“-ის პროდუქციის მომხმარებელთა ბაზა, რომელშიც შედიან, როგორც სახელმწიფო, ისე - კერძო სექტორის მსხვილი კომპანიები. მათ შორის აღსანიშნავია თბილისის მერიის სამსახურები („თბილსერვის ჯგუფი“), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, თბილისის წყალი - GWP (Georgian Water and Power), სს თელასი, სს ენერგოპრო ჯორჯია, ბათუმის მუნიციპალური შპს „სანდასუფთავება“, საქართველოს რაიონების მუნიციპალიტეტები და სხვა მსხვილი და საშუალო კერძო კომპანიები.

„ჯი-თი გრუპ“-ში და მასში შემავალ კომპანიებში დასაქმებულია 500-ზე მეტი თანამშრომელი, რომლებიც სხვადასხვა სფეროებსა და სპეციალობებს წარმოადგენენ: ავტონიჟინები, ელექტრიკოსები, მექანიკოსები, ფინანსური მართვის, ზოგადი მენეჯმენტისა და გაყიდვების სპეციალისტები.

„ჯი-თი გრუპ“ თავისი საქმიანობის მრავალფეროვნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად შეისწავლის საქართველოს ბაზარსა და იკვლევს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. საბაზრო და მარკეტინგულ კვლევებს საავტომობილო, სამშენებლო, საცხებ-საპოხი მასალების, მუნიციპალური და სპეციალური დანიშნულების ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო სეგმენტებში რეგულარული ხასიათი აქვთ და კომპანიას ამ მიზნებისთვის ცალკე განყოფილებაც გააჩნია.

კომპანიის თანამშრომლების შერჩევა კონკურსის საშუალებით მიმდინარეობს და ეფუძნება შრომით ბაზარზე მოქმედი კონკურენციის პირობებს. არსებული პერსონალის უდიდეს ნაწილს უმაღლესი ტექნიკური, ეკონომიკური, ან ბიზნეს განათლება (ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებით) აქვს მიღებული, შესაბამისი სპეციალობებით.

მუდმივად მიმდინარე სწავლებისა და ტრენინგების მეშვეობით დიდი ყურადღება ექცევა პერსონალის ინტელექტუალურ განვითარებას. „ჯი-თი გრუპ“-ის სათაო ოფისში, თბილისში, მოქმედებს სპეციალური სასწავლო აუდიტორია, სადაც სპეციალისტები სწავლებებს უტარებენ „ჯი-თი გრუპ“-ის ტექნიკურ და მართვის სფეროში დასაქმებულ თანამშრომლებს. ტრენინგები ძირითადად, საავტომობილო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, მუნიციპალური და სპეციალური ტექნიკის სიახლეების შესწავლის და გაყიდვების, ფინანსური მართვის, ბიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებებს მოიცავს.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მუდმივად მიმდინარე სასწავლო პროცესი, „ჯი-თი გრუპ“-ის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მიმდინარე წელს „ჯი-თი გრუპ“-ის თანამშრომლებს, სერვის მენეჯერებს, გაყიდვების სპეციალისტებს და კომპანიის ტექნიკურ პერსონალს, უკვე რამდენიმე სწავლება ჩაუტარდათ სხვადასხვა მიმართულებით. ბევრი მათგანი იმყოფებოდა „ფორდი“-ს, „ნიუ ჰოლანდი“-ს, „ისუმუ“-ს და სხვა კომპანიების სასწავლო ცენტრებში, საზღვარგარეთ.

„ჯი-თი გრუპ“ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და წამყვან პოზიციებზე მყოფი კერძო კომპანიაა. გაყიდვების მიხედვით იგი ლიდერია რამდენიმე სფეროში, კერძოდ: სატვირთო ავტომობილები, სამშენებლო ტექნიკა და ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები და კომბაინები, საცხებ-საპოხი მასალები.

„ჯი-თი გრუპ“-ის მენეჯმენტი აცნობიერებს იმ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც კომპანიას შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ბაზარზე მუშაობისას, კერძო თუ სამთავრობო სუბიექტებთან და თავის უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას. „ჯი-თი გრუპ“-ის მართვის ცენტრალური რგოლები და ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად იკრიბება და მსჯელობს რისკების ანალიზსა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც შემდგომ კომპანიის ბაზარზე ოპერირების მიზნებსა და ამოცანებში აისახება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „ჯი-თი გრუპ“-ის ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ რისკების აღბათობასა და გარემოებების ანალიზს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე, მის ეფექტურობასა და მომგებიანობაზე.

ზოგადი სქემა, რომელიც ამ რისკების შესწავლისა და ანალიზისთვის გამოიყენება, მოიცავს შესაძლო რისკების (მათ შორის ფინანსურის) აღბათობისა და მათი შესაბამისი ეფექტების გააზრებას, ანალიზსა და მათი შერბილების (მიტიგაციის) ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას.

რისკების აღბათობის ანალიზისას გამოიყენება „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ აღბათობის კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება რისკების შესაძლო გავლენის (ეფექტი) შეფასება კომპანიის საქმიანობაზე.

ქვემოთ გთავაზობთ რისკების შეფასების მატრიცას (იხ. ნახ. 2), რომელიც აღწერს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტორებს, შესაძლო რისკებსა და მათ შესაძლო შედეგებს:

ნახ.2 რისკების აღბათობისა და მათი გავლენების შეფასების ზოგადი სქემა

ეფექტი/ აღბათობა	უმნიშვნელო	მცირე	საშუალო	დიდი	კატასტროფული
დაბალი			ბუნებრივი კატაკლიზმ ები	პოლიტიკური მოვლენები, არასტაბილუ რობა	შეაიღებული დაპირისპირება, ომი
საშუალო	კვალიფიცი ური კადრების დეფიციტი	საგარეო ფაქტორების გავლენა ბიზნეს- საქმიანობაზე	ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნა		
მაღალი		კიბერუსაფრ თხოება			

წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, რომ კომპანია აცნობიერებს და აანალიზებს იმ შესაძლო შედეგებს, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას სხვადასხვა ტიპის რისკებისგან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის პოლიტიკასა და საქმიანობაზე.

ბუნებრივი კატაკლიზმები - „ჯი-თი გრუპ“-ის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივი მოვლენებსა და მათ სტიქიურ გამოვლინებებს, რომელთა დადგომის აღბათობა დაბალია, შეუძლია შესამჩნევი ზიანის (საშუალო ეფექტის) მიყენება კომპანიის ოპერაციებისათვის: ამ მოვლენებში შესაძლოა მოიაზრებოდეს სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, დიდი რაოდენობის ნალექი, წყალდიდობა, ტრანსპორტირების შეფერხება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ხანძარი და ტექნოგენური

კატასტროფები. ამ მოვლენების შერბილებისთვის, კომპანია აქტიურად იყენებს ტვირთების, საავტომობილო და სხვა ტექნიკის დაზღვევის საშუალებებს.

პოლიტიკური არასტაბილურობა - არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში, შეუძლია მნიშვნელოვანი (დიდი ეფექტის) უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადად ბიზნესის წარმოებაზე და კერძოდ, კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან, მის გადაზიდვასთან, მომსახურებასთან და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ ციკლებთან, რომელთათვისაც აუცილებელია სტაბილური, წინასწარგანჭვრეტადი და კეთილგანწყობილი გარემო. არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს შიდა და საგარეო ინვესტიციების მოცულობაზე, შიდა ბაზრის ზრდა-განვითარებაზე, სხვადასხვა ტიპის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაზე. ეს ყველაფერი კი ნეგატიურად აისახება იმ ბიზნეს სექტორზე, რომელიც დაკავშირებულია იმპორტირებული საქონლის გაყიდვებთან, მშენებლობასთან, ტვირთისა და სამგზავრო გადაზიდვებთან, მუნიციპალურ სამუშაოებსა და ფინანსურ მომსახურებასთან. არასტაბილური პოლიტიკური და ბიზნეს-გარემო კი თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნესის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს სამუშაო ადგილების რაოდენობის, მოსახლეობის მყიდველუნარიანობისა და საქონელზე მოთხოვნის შემცირებას. შესაბამისად, იზრდება უმუშევრობა და სიღარიბე. სავარაუდოდ, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, მკვეთრი ცვლილებების ალბათობა, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს ქვეყანაში, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დაბალია.

შეიარაღებული დაპირისპირება და ომი - ეს მოვლენები განაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე და მათი შედეგები, შესაძლოა შეუქცევადი და კატასტროფული მასშტაბის აღმოჩნდეს. სავარაუდოდ, მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტის ჩამოყალიბების ალბათობა, დღეს, დაბალია.

კვალიფიციური კადრების დეფიციტი - ეს რისკი შეფასებულია როგორც საშუალო ალბათობის, რადგან კვალიფიციური კადრების გადასვლა სხვა კომპანიებში არ არის იშვიათი მოვლენა გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, თუმცა მას რეგულარული ხასიათი არ აქვს. კომპანია ამ რისკის დადგომის ეფექტს უმნიშვნელოდ აფასებს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ მოვლენას შეუძლია არასასიამოვნო შედეგები მოუტანოს კომპანიას და მის საქმიანობას. ამ რისკის შერბილების საშუალებებია კადრების წახალისება, მათი საქმიანობის სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება და მათთვის კარგი შრომითი პირობების შექმნა-უზრუნველყოფა.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ „ჯი-თი გრუპ“-ს მრავალფეროვანი და მრავალგვარი კავშირები აქვს თავის საზღვარგარეთ არსებულ მომწოდებლებთან, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე და მის პოზიციაზე შიდა ბაზარზე. კომპანია, ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობას საშუალოდ აფასებს, ხოლო მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება (ინფლაცია, ჭარბი წარმოება, საწარმოო პროცესის შეფერხება, სხვა), სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია. ამავე დროს, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემური პროცესები, შესაძლოა, პრობლემის ნაცვლად, ახალ შესაძლებლობად გადაიქცნენ.

კიბერუსაფრთხოება - ბოლო წლებში კომპანია სულ უფრო მეტ დროსა და ენერგიას უთმობს კომპანიის კომპიუტერული ქსელისა და ტექნოლოგიების უსაფრთხოებას. კომპანია თვლის, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებული რისკები და მათი დადგომის ალბათობა (კიბერშეტევა, ქსელში არასანქცირებული შეღწევა, მგრძნობიარე ფინანსურ და კომერციულ ინფორმაციაზე უნებართვო წვდომა, სხვა) გაზრდილია და კომპანია მას აფასებს როგორც „მაღალი“ ალბათობის რისკს. ამავე დროს, კომპანია თვლის რომ ჯერ-ჯერობით ამ რისკის მიერ გამოწვეული შედეგები მცირეა, თუმცა - დიდად ყურადსაღები.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნა - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, რადგან იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, როგორც „ჯი-თი გრუპ“-ი გახლავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, რადგან კომპანია, როგორც წესი, ვაჭრობისა და სასერვისო მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს. „ჯი-თი გრუპ“-ი ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარ სხვაობების, ფასების წარმოქმნისა და ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია იმპორტისა და სადისტრიბუციო ოპერაციებისთვის.

დირექტორი

ლევან გოგსაძე

შპს ჯი-თი გრუპ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი-თი გრუპ“-ის („შემდგომში - ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგუაძე
დირექტორი

მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	32,727,505	19,820,547	17,773,128
არამატერიალური აქტივები		29,009	23,811	33,979
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში	6	6,076,153	5,323,085	4,226,178
სხვა გრძელვადიანი აქტივები		14,373	13,774	2,216
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,847,040	25,181,217	22,035,501
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	23,952,910	19,990,284	18,878,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,362,368	3,632,839	2,267,523
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,608,837	1,592,829	2,152,599
გადახდილი ავანსები	9	3,171,080	2,257,913	2,955,108
მისაღები დივიდენდები		182,526	158,240	186,013
სხვა აქტივები		209,033	92,619	16,169
ფული და ფულის ექვივალენტები	10	6,166,003	1,428,977	4,292,785
სულ მიმდინარე აქტივები		38,652,757	29,153,701	30,748,410
სულ აქტივები		77,499,797	54,334,918	52,783,911
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	400,000	400,000	400,000
გაუნაწილებელი მოგება		35,486,812	33,421,388	27,995,221
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი		7,534,237	-	-
არამაკონტროლებელი წილის მოგება		292,745	130,334	22,309
სულ კაპიტალი		43,713,794	33,951,722	28,417,530
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	5,453,048	4,652,292	5,406,935
გადავადებული მოგების გადასახადი		-	-	1,941,589
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,453,048	4,652,292	7,348,524
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	12	11,435,677	7,782,952	5,306,627
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	11,575,958	3,092,879	3,345,979
მიღებული ავანსები		5,290,763	4,738,497	8,365,251
საგადასახადო ვალდებულებები		30,557	116,576	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		28,332,955	15,730,904	17,017,857
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		77,499,797	54,334,918	52,783,911

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგასაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით


	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	14	92,226,716	90,694,040
რელიზაციის თვითღირებულება	15	(72,843,038)	(73,556,374)
მთლიანი მოგება		19,383,678	17,137,666
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	16	(5,481,353)	(5,441,438)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(7,549,737)	(4,405,668)
საპროცენტო შემოსავლები		25,395	17,365
საპროცენტო ხარჯი		(1,573,130)	(1,717,546)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	18	(2,490,847)	(1,457,979)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	19	272,517	(92,063)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი	6	903,068	1,246,907
მოგება მოგების გადასახადამდე		3,489,591	5,287,244
მოგების გადასახადის ხარჯი		(53,354)	1,503,755
წლიური მოგება		3,436,237	6,790,999
წლიური სხვა სრული შემოსავალი		7,534,237	-
სულ წლის სრული შემოსავალი		10,970,474	6,790,999
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		10,808,063	6,808,117
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		162,411	(17,118)
სულ წლის სრული შემოსავალი		10,970,474	6,790,999

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.


ლევან გოგაშვილი
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი




მაკა ჯიჩარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიწისა და შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	არამაკონტოლებელი წილის მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2016	400,000	27,995,221	-	22,309	28,417,530
კაპიტალის შეესება	-	-	-	125,143	125,143
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,808,117	-	(17,118)	6,790,999
გადახდილი დივიდენდი	11	(1,381,950)	-	-	(1,381,950)
ბალანსი 31 დეკემბერი 2016	400,000	33,421,388	-	130,334	33,951,722
სულ წლის სრული შემოსავალი	5	3,273,826	7,534,237	162,411	10,970,474
გადახდილი დივიდენდი	11	(1,208,404)	-	-	(1,208,404)
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	400,000	35,486,810	7,534,237	292,745	43,713,792

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგუაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ	3,436,237	6,790,999
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:		
მოგების გადასახადი	53,354	(1,503,755)
ცვეთა და ამორტიზაცია	1,174,379	949,701
მარაგების ჩამოწერა	48,855	1,659
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(50,464)	(27,775)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	18 2,490,847	1,457,979
რეზერვების ამორტიზაცია/დარიცხვა, წმინდა	8, 9 (138,403)	118,192
შემოსავალი დივიდენდებიდან	(150,000)	(150,000)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი	(753,068)	(1,096,906)
საპროცენტო შემოსავალი	(25,395)	(17,365)
საპროცენტო ხარჯი	1,573,130	1,717,546
სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	7,659,472	8,240,275
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	552,855	(1,365,469)
მარაგების ზრდა	(4,011,481)	(1,113,731)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება	(818,062)	661,422
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა)/შემცირება	(16,006)	559,770
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა	(116,420)	(76,450)
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	552,855	(3,643,301)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა	3,929	21,365
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	6,848,514	(845,156)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება	(139,369)	(321,261)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	10,516,287	2,117,464
მიღებული პროცენტი	25,395	17,365
გადახდილი პროცენტი	(1,569,068)	(1,733,396)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,972,614	401,433
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(6,713,329)	(3,446,508)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	223,688	487,941
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(12,193)	(610)
კაპიტალის შეცვლა	-	125,143
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,501,834)	(2,834,034)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სესხებიდან	16,770,150	24,837,742
სესხების დაფარვა	(13,180,605)	(23,927,533)
მიღებული დივიდენდი	125,714	177,773
გაცემული დივიდენდები	(1,208,403)	(1,381,950)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,506,856	(293,968)
წმინდა კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	4,977,636	(2,726,569)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10 1,428,977	4,292,785
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე	(240,610)	(137,239)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10 6,166,003	1,428,977

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლევან გოგუაძე
დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ჯინჭარაძე
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 27 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-43 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ჯი-თი გრუპ-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯი-თი გრუპ-ის (ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.


მოდიფიცირებული დასკვნის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წლის 1 თებერვალს და ამდენად, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავესწრებოდით. ჩვენ ვერ შევძელით 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



- გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ხელისმომწერი



2018 წლის 27 სექტემბერი


თბილისი, საქართველო



- გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ხელისმომწერი



2018 წლის 27 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჯი-თი გრუპ-ის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი გრუპ“-ის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ჯი-თი გრუპ“-ის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ჯი-თი გრუპ“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი



თამარ მერმანაშვილი

მმართველი პარტნიორი


2018 წელი, თბილისი, საქართველო



ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ვარდნა - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, რადგან იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, როგორც „ჯი-თი გრუპ“-ი გახლავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, რადგან კომპანია, როგორც წესი, ვაჭრობისა და სასერვისო მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს. „ჯი-თი გრუპ“-ი ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობების, ფასების წარმოქმნისა და ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია იმპორტისა და სადისტრიბუციო ოპერაციებისთვის.

დირექტორი

ლევან გოგსაძე



The image shows a handwritten signature in blue ink over a circular official stamp. The stamp is green and contains the text "JTI GROUP LTD" at the top and "შპს ჯი-თი გრუპ • 2001" at the bottom. There is also a small logo on the left side of the stamp.